საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2018 წლის 21 დეკემბერი
№ 01-05-04/354 დადგენილებით

მოდიფიცირებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2021 წლის 26 ნოემბრის
№01-05-04/174 დადგენილებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება

პროგრამის ხელმძღვანელი: გერგეშელიძე ლელა
საკონტაქტო ინფორმაცია: l.gergeshelidze@gtu.ge ; 599 270682.

თბილისი
2021 წ.

1. **ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა** - ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება - Production of footwear and leather products

2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა:** 02121-პ

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოებაში / Basic Vocational Qualification in Production of Footwear and Leather Products (კვალიფიკაციის კოდი - 040965)
   აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ფეხსაცმლის დამზადება, ტექსტილი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავი); კოდი 0723, აღმწერი - „შეისწავლის საფეიქრო წარმოებას, ტექსტილისა და ტყავის პროდუქციას, ტანსაცმელსა და მასთან დაკავშირებულ პროდუქციას, ფეხსაცმელსა და ფეხსაცმლის სხვა ფორმებს".

4. **მიზანი**

პროგრამის მიზანია, ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოების სფეროსთვის უზრუნველყოს შესაბამისი დარგის კვალიფიციური პრაქტიკული უნარ–ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. მომზადდებიან კადრები ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოების მიმართულებით, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე ინდივიდუალური და მასიური წარმოების პირობებში ტყავისა და ტყავის შემცვლელი მასალისაგან სხვადასხვა სირთულის ფეხსაცმლისა და აქსესუარების დამზადებას.

5. **დაშვების წინაპირობები**

საბაზო განათლება

6. **დასაქმების შესაძლებლობები**

პროგრამების გავლის შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს მსხვილ, საშუალო და მცირე საწარმოში, მოდის ატელიეებში დარგის სპეციალისტად, ფეხსაცმლის მკერავად, მეწაღედ. ასევე შეუძლია დააფუძნოს სახელოსნო და იმუშაოს ინდივიდუალურ შეკვეთებზე.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 13.99; 13.99.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7536

7. **სტრუქტურა და მოდულები**

ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის, პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 97კრედიტი. რომელიც აერთიანებს 6 ზოგად მოდულს ჯამური 17 კრედიტის რაოდენობით და 14 პროფესიულ მოდულს ჯამური 80 კრედიტის რაოდენობით.

მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 97 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 61 კვირა
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 112 კრედიტი

➢ პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 72 კვირა

ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ქართული ენა A2	15
სულ		15
ზოგადი მოდულები		
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4	მეწარმეობა 1	2
5	უცხოური ენა (ინგლისური ენა)	4
6	სამოქალაქო განათლება	3
სულ		17
პროფესიული მოდულები		
7	გაცნობითი პრაქტიკა - ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება	2
8	პრაქტიკული პროექტი - ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება	9
9	აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისები	4
10	ფეხსაცმლისა და აქსესუარების კომპოზიცია	4
11	ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობებისათვის მასალების გამოჭრის საფუძვლები	4
12	ნავისებური ფეხსაცმლისა და ნახევარწაღის კონსტრუირება	8
13	ჩექმისა და წაღის კონსტრუირება	7
14	ტყავის აქსესუარების კონსტრუირება	6
15	ფეხსაცმლის ნამზადის კერვის ტექნოლოგია	8
16	ფეხსაცმლის დამზადების ტექნოლოგია	8
17	ტყავის აქსესუარების ტექნოლოგია	8
18	ფეხსაცმლის სამომხმარებლო თვისებების ხარისხის კონტროლი	3
19	ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა შეკეთება	4
20	საუნაგირე ტყავის დეტალების დამზადება	5
სულ		80

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოებაში

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. დახატოს ნატურიდან სხვადასხვა საგანი, ნატურმორტი და ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარები
2. შეარჩიოს ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოებისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე მასალები
3. ჩამოაყალიბოს ფეხსაცმლის კონსტრუირებისათვის ტერფის გაზომვის თეორიული საფუძვლები და მოახდინოს ესკიზის მიხედვით ნავისებური ფეხსაცმლის, წაღის, ჩექმის, წაღის ზედაპირისა და ძირის დეტალების ტექნიკური მოდელირება
4. შეასრულოს ესკიზის მიხედვით ტყავის აქსესუარების კონსტრუირება
5. მოამზადოს ფეხსაცმლის ნამზადის დეტალები აკრებისათვის
6. შეასრულოს ნამზადის ფორმირება კალაპოტზე და ფორმირებულ ნამზადზე ძირის მიმაგრება
7. შეასრულოს ტყავის აქსესუარების/დეტალების წინასწარი დამუშავების და დროებითი შეერთების ოპერაციები
8. შეასრულოს ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების გამოყვანა, მარკირება და შეფუთვა
9. შეასრულოს მზა ნაწარმის ხარისხის კონტროლი
10. შეასრულოს ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობების რესტავრაცია

11. შეასრულოს საუნაგირე ტყავის დეტალების დამზადების ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულება და ნაკეთობის გამოყვანა.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება" ჩარჩო დოკუმენტის „ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება" საფუძველზე.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა)*, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;

• ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია ენიჭება მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68, I კორპუსი, აუდიტ. 703ა) და საწარმოო ი/მ „ირაკლი გვილავა“ (ქ.თბილისი წინამძღვრიშვილის ქ. №121)

დანართი:

დანართი 1. სასწავლო გეგმა, პროგრამის განმახორციელებელი პირები.

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები ლ.გერგეშელიძე ლელა გერგეშელიძე

სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი ნ.ბუთხუზი ნათია ბუთხუზი

ფაკულტეტის დეკანი ოთარ გელაშვილი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან დავით მახვილაძე

მიღებულია

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე, ოქმი N13, 10.12.2018 წ.

მოდიფიცირებულია

სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ოქმი N9,
26. 10.2021 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ოთარ გელაშვილი